




ათონჯეროთ სალიტერატუროთი ქაზნალო

შაბათი, 12 ქრისტეშობის, № 50—1915

წასი  
10 კ.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. შპრ.  
თეატრი და ცისფერება<sup>ს</sup>ზე

(წელიწადი მეოთხე.—იხ. მე-16 გვ.)  
წლიურად ნ. ნახ. წ. 3 მ., 1 თგ. 50 კაპ. ცალ-  
კვ ნომერი 10 კ.—ხელის-მოწერა მიიღება „სო-  
რბანს“ის სტამბაში. მისამართი: Тифლის Ред.  
Театри да Цхьობება I. Инедашвили.



ჭოლა ლომთათიძის დაცრძალვა

(ჭაშვეთის ეკლესიის ეზოში, ვე. გვგვტკორი სიტყვას ამბობს.—გადაღე-  
ბულია ფლტოვრ. ნ. გ. სილაგაძის მიერ)  
კვირას, 13 ქრისტეშობ. საორმოცო პანაშვილია წმ. ნინოს ეკლესიაში.

12 ქრისტეშობისთვის

ნუ დაიშურებ გაიფლავისწინეთ ყოფა-  
თითო ადურს! ცხოვრება ჩვენი ერის იმ ქვე-  
მარტ მოკირანხელთა, რო-  
მელნიც, პირადი ბედნიერების უარყოფით,  
სულით და გულით საზოგადო სამსახურს მის-  
ცემიან... მოიგონეთ ვაჟა-ფშაველა, ლალი  
ბუნების შვილი, რომელიც სამკურნალო სა-  
რეცეპტზე მწოლარე შემოგვგვალადებდა—  
საღწაო, მე თქვენი ქალაქური წამალი ვერას  
მიშველის, გამიყვით, ჩემს საყვარელ შიის  
ფოთოლ-ბალახში ჩამაგორეთ, მასუნთქეთ უმან-  
კო ბუნების სალი პაფერი,—იი, რა მოუხდებდა  
ჩემს ჯანსაო!—მაგრამ ეს ჩვენ ვერ შეგუხსრუ-

ლტ ჩვენის უჭნარობით და თონესავთ ვა-  
სურებულ ოთახში უდროვოდ ამოვახრჩეთ!

რა ვაჟა! რამდენაა დღეს კიდევ მის  
დღეში, რომ ნორჩი ნიკოცხლე მოძმეთა კე-  
თილდღობისათვის შეუწირავს, სამშობლოს  
სანთლ დანთებია და, ყოველგვარი სხს რს  
მოკლებული, გაქირვებაში ნაადრევად იწვის  
და სდნება..

ჩვენი ბედუკუღმართი საზოგადო მუშაკი  
თუ მოგვაგონდება როდისმე, მხოლოდ უკა-  
ნასკნელ ჟამს, როდესაც უდროოდ ციხს სა-  
მარეს მისვენებდა...

და ის კი გვავეწულებდა, რომ „მკვლავსა  
დასას უშველს ჩვენი ცრემლები მწველას!“

დღემდე ჩვენის დაუდევრობით ბევრი სა-  
სარგებლო მ-ჯა უდროოდ დაგვიდუნებია!..

მაგრამ, როგორც ხანს, მსხვერპლს უქ-  
მად არ ჩაუვლია: ვაჟას უღვთა სიკვდილმა  
კი“ერი მოგვაფხანინა... მადლიანმა ადამი-  
ანებმა განიზრახეს, მ დვაწენი ცოტათი მიინც  
უხრუნველ-ვყოთ ჟა...სა გაქირვებისათ: ქარაუ-  
ჯა კუდტურის მოყვარულთა საზოგადოებაში თავს  
იღვა ფრიად საპატიო საქმე—ქარ ველ მოლ-  
ვაწვთა აგარაკის აშენება წალვერში და ფუ-  
ლის შეკრებასაც შეუდგა. ამ აგარაკის საძირ-  
კვლის ჩ:ყრში თავისი წვლილის შეტანა გა-  
ნუზრახავს ხარფუხის საზოგადო კლუბის მამა-  
სახლისთა სბქოს, რომლის თ:ოსნობითაც  
მომავალ შაბ , 19 ქრისტეშობისთვეს ხარფუხის  
კლუბის დარბაზში ვაჟა-ფშაველას საღამო  
იმართება აგარაკის ასაშენებელ თანხის სასარ-  
გებლოდ...

ორივე მიზანი—ძვირფასი მგოსნის ხსო-  
ვის პატივისცემა და მისი სახელობის აგარაკის  
ასაშენებლად შემოსავლის გადაცემა—დიდად  
საგულისნხოა და საზოგადოების ყურადღე-  
ბის ღირსი.

მაშ ნურავინ დაიშურებს თითო აგურს  
მიინც ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშე-  
ნებლოდ...



### ვ. შალივაშვილი ახალ არის!



ვალ არის ჩვენი სცენის  
განახლების ერთი ქურუმ-  
თავანი, მ.ლ. ხელოვანი მსა-  
ხიობი, გონიერი რეჟისორი და  
ნიციერი მწერალი..

დღემდე კანტი - კუნტად  
მოსულ ხმებს ყურადღებას არ ვაქცევდით: გვე-  
გონა ავადმყოფობას ადვილად დახწვევდა  
თავს, მაგრამ უკვე დანამდვილებით შევიტ-  
ყეთ, რომ მძიმე სენით—ქლექით ყოფილა  
შეპყრობილი და საფუძვლიანი მკურნალობა  
ეკირვება...

ჩვენი სცენის მუშაკთა ცხოვრების უკუ-  
ღმართმა პირობებმა, გზათა უკან სიარულმა,  
ბევრჯერ ნაკლებულებამ, განიადაგებულმა  
შრომამ უდროვოდ დასცა ჩვენი სცენის  
თვალსაჩინო მოამ.გე და მომავალში უფრო დი-  
დი საარგებლობის მომცემი..

მუდამ გულუხვ ბაქოს ქართველ საზოგა-  
დოებას განუზრახავს ავადმყოფი მსახიობი ამ  
ზამთარს სოხუმს გადიეყვანოს სამკურნალოდ,  
რაც მისი დაზიანებული ფილტვებისთვის აუ-  
ცილებლად საჭიროა... მაგრამ რაც უნდა  
ხელგაშლილობა გამოიჩინოს ბაქოს ქარველო-  
გამ, არა კმარა: საჭიროა სწრაფი ნივთიერი  
დახმარება აღმოუჩინონ თბილის—ქუთაისის  
სა თუ სხვა დრამ, საზოგადოებათ დე ჩქარა  
სასურვეო პირობებში მოათავსონ ჩვენი ეროვ-  
ნული წინმსვლელობის ერთა დაუღალავი  
მუშაკთაგანი..

ზოგისა თუ ბამბა ჩხრიალებს, ნუ თუ  
ქართველი სცენის დიდი მუშაკის—ვ. შალივა-  
შვილის—კაკალიც არ იჩხრიალებს?!..

თვით მის ანხანაგაც კმართვეთ თბილის-  
სა და ქუთაისში თითო წარმოდგენა ვაჰმარ-  
ოონ, დასდგან თუნდა მისივე პიესები, და შე  
მოსავლით ხელი გაუმართონ...

ეს დღესვეა საჭირო, რომ... ბოლოს  
თითზე არ ვიკნინოთ.

ჩვენის მზრით კი ჩვენს საყვარელ მოღვა-  
წეს ჩქარა განკურნებას ვუსურვებთ!..\*)

\*) ეს წერილი უკვე აწვობილ-გაშვებული გვეონ-  
და, როდესაც ვ. გუნიას წერილი (ს ფ. 10 ქრისტეშ)  
წაგიკითხეთ. პატივცემული მსახიობიც გულმხურვალედ  
მოუწოდებს საზოგადოებას ავადმყოფ მსახიობს დაე-  
ხმარნენ. რედ.



# ქართველი მწერალი ქალები

დარია ახვლედიანისა და

მარიამ გარიუული

ჩვენმა მწერლობამ სრა-სასახლეობიდან ქალებშიაც შესდგა ფეხი... იყო დრო, როდესაც ქართულ საერო მწერლობას მხოლოდ უმაღლესი წოდების პირნი და მეფენი მისდევდნენ: მათი მწერლობის სავანიც ხშირად მათებური იყო—ლიბინი და შვება, ეკლესიათა თვალეი და ღვინო!.. და თუ ხანდისხან ვინმე მათგანი ქონებისკენაც გღიხებოდა, —ეს შორით, ზევიდან... თუ ასე იყო მამაკაცი—მწიგნობართა შორის, რა უნდა ყოფილიყო ქალთა შორის?... მაგრამ მზის სხივები ჩვენი ერის ფართო წრეებსაც მოეფინა.

მწერლობამ ასპარეზი გაიფართოვა, ღღეს თვით ხალხის შვილები, მდაბიო ხალხის წრიდან გამოსულები სწერენ და მოგვითხრობენ ხალხის ქირავრამსა, მისწრაფებასა და ყოფაცხოვრებაზე: ქართველ მუშახელოსან-მწიგნობართა შესახებ შემდეგ გამოველაპარაკებოთ მკითხველს, ამ ყმადაკი გაკვირთ მაინც აღენიშნოთ ორი ქართველი ქალის ნ. მოღვაწის, რომელთაგან ერთს—დარია ახვლედიანისას—წელს ხუთმეტრი წელიწადი შეუსრულდა, რაც მწერლობს, ხოლო მეორეს—მარიამ გარიუულს—ათი წელიწადი.



დარია გიორგის ასული ახვლედიანისა, სამწერლო მოღვაწეობის 15 წ. შესრულების გამო.

ლექსი დაბეჭდა 1901 წ. ჟურ. „ეკვალში“, ამას შემდეგ ოთქმის ყველა ქართულ გამოცემაში ათავსებდა ლექსებს, ზოგჯერ წერი-

ლებსაც. 1912 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა მისი ლექსების კრებული „სევდის ჰანგები“.

მთავარი ჰანგი და ახვლედიანის ლექსებისა მართლაც რომ სევაა, სევდა საზოგადოებრივ უკულმართ ცხოვრებით გამოწვეული. მოსანი უმეტესად „მისთვის სტირის, ვისაც სიყვარული ტანჯავს“ და „მათთვის ლოცულობს, აგინდ მუხთად საფლადი მანად ტანჯულა მწარე ცხოვრებით არის ვნებული“ და გულს უკლავს ის, რომ „ჯაფხოსთისა ჭებუს ჩვენი ქვეყანა, ბუნებით ტურფა, შეგნებით სრულია“. თუმცა „უხში ცრემლები, ირგულივ გოღვთას გულსეასწარა“ გულს უტანჯავს, მაინც ბრწყინვალე მოძაღვის მტკიცე რწმენა ასულდგმულებს, ამავე რწმენით აღავსებს მკითხველს და ყოველს მოუწოდებს „უძმონ ჩავრულსა, მის ბედს გამოქსანდლან“.

ჩანგი მისი მხოლოდ და მხოლოდ მოძმეთა საკეთილდღეოდ ჰქედრს, მოსნის გული ამუხთალ სოფლით ტანჯულთათვის“. სძგერს: ...თან ჩავიტან მე შავ სამარეში მოძმის სიყვარულს და მწარე ცრემლებს!..-ო.

თუ რა ძლიერი სიყვარულითაა აღვზნებული მამულისადმი, მისი ლექსი — ქართველი დედის სევაა“ გვიჩვენებს.. მას სწამს, რომ ჩვენი ცხოვრება მუდამ ბნელით არ იქნება მოცული, გათენდება და მივლის „რეჟრეჟის სხივებს“... მტარვლის მსახერელი ხელი, „მთა გოღვთისა გულ-შესწარა“ ამაყ გულს ვერ უტებს: „თვით აღსასრულის მწარე წუთებში თავისუფლებას მივსრეში სდავსო“ და ასეთივე გაუტეხელი რწმენით მსურს განმსკეპლოს სულ დაცემული თანამომემეც:

„აადეს ტანჯვით გატეხილი შეუს ჭდათაჲდა ჭირ-ტანჯვაში, შეუერთად ჩავრულთ ბანკს, მთაშურე ჩვენი ტძარმა...“

და შენს წყულულს თანავრძნობას მოვაგებებთო...

მას ღრწათა სწამს, რომ:

„მაღე მოვა შეგის დმერთი, მაღე დაჭკრავს ელვას ქანი, რისსეას ზვირთად გადმოსკება შსაში, გულში ნაგუბარია!“



მარიამ გარიყული, სამწერლო მოღვაწეობის 10 წ. შესრულების გამო.

მეორე მწერალი ქალი მარიამ გარიყულია, არა ნაკლებ გულდაკეპილი, ბედკრულ-დეენლოთა ოხვრავებით დასევდიანებული შექმნელის ხასიათით ცხრას ხუთის შვილია... იგი მაშინ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ჩვენი შეტბორებული, მაგრამ მიმედ მობუქებუყე, ცხოვრება

ერთბაშად შეირყა, აზიერთდა... კაცმა თავისი ბედი საკუთარი ხელით გამოსკედაო, ამ მწერალ ქალზე ითქმის.

მარიამი, ლუკა თათვიშვილის ასული რატინასი, მწერლობაში მ. კარაფელის სახელით ცნობილი, დიბ. ხ. პატარა გუბში, ქუთაისის მაზ. 1883 წ. 22 მარტს. სწავლა სამშობლო ენაზე დაიწყო, ქართველ მწერალთა ნაწერების ნიმუშებს ოჯახშივე გაეცნო, 10—12 წ. ქუთაისის „სადარიბო სსწავლეველოში“ შეიყვანეს, სადაც უცხო ენას ვერ შეეთვისა, და, მშობლების უჩუპრად, დაეწაფა აღ. ყახბეგის, თბ. ნინოშვილის და სხ. კითხვის. 15 წლისა თბილისში გაეცნო მოწინავე ახალგაზღვებს, რომელთა გავლენითაც განვითარების უფრო გარკვეულ გზას დაადგა. ორ სეზონს ქუთაისის დასში მსახურებდა ვლ. მესხიშვილის რეჟისორობის დროს, მაგრამ თავი გაანება, მოლარედ შევიდა ქუთაისის წიგნის მაღაზიაში, შემდეგ მსახურებდა სამკითხველოში, აფთიაქის საწყობში. 1904 წ. დაიწყო ქუჩა-ქუჩა კალათით ქართული წიგნების ტარება-ვაჭრობა; წიგნებს ავრცელებდა ქარხანა-სახელოსნოებში მუშათა შორის. ამ დროს ბეგერს დასცინოდენ კიდეც. დაუახლოვდა მუშათა წრეებს, დაიწყო ს ხალხო წარმოუგენების მართვა რკინის გზის აუდიტორიაში, რომლის შემოსავალს მუშათა კომისიას აბარებდა. არა ერთხელ გაუჩხრკეიათ ნისი ბინაც. 1905 წ., სიღარიბით მოტეხილ-მოქანტული, ცოლად გაჰყვა ერთს ახალგაზდას. თუშკა მწერლობას უფრო აღრე შეუდგა, მაგრამ პირველი მოთხრობა „ცხოვრების მსხვერპლია“ მხოლოდ 1905 წ. დაბეჭდა „ცნობის უფრცელში“, ამის შემდეგ-კი თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-

გაზეთში ათავსებდა მოთხრობებს და გამოუღებიტ თანამშრომლობს „ნაკადულში“. ზოგი მოთხრობა („ჯაშუში“) ცალკე გამოცემული.

მ. გ-ის შემოქმედების საგანია ჩვენი მუშა-მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ყოველმხრივი დასურთება. მოძრაობის ანარქული—თანამედროვე ახალი სახის მუშა და მისი მისწრაფება-ლტოლვილებანი უტყუვრად აღბეჭდილია გ—ის მოთხრობებში. შინაური პირობები—ხელმოკლეობა და ოთხი წვრილი შვილი—ზბორაკენ მის უფრო ნაყოფიერად მუშაობას. დღემდე კრიტიკა არ შეხებია და ეს კი უშეთავრესად იმიტი აიხსნება, რომ მისი მოთხრობები, რომლებიც ერთ ვეება ტომს მაინც შეადგენს, ჯერაც გამოუცემელია და ჟურნალ-გაზეთებშია განზნეული.

ორივე მწერალი ქალის ნაწერებს ქართველი მკითხველი ყოველთვის სიამოვნებით წაიკითხავს და სასურველია მკითხველს ამის საშუალება მიეცეს...

ორივე მწერალ ქალს ვუსურვებთ მეტს მხნეობასა და ნაყოფიერ მუშაკობას სამშობლო მწერლობის გასამდიდრებლად.

იოსებ არიშთიელი

### გამაღეწინეთ მაინც!

(ამბავი სოფ. ცხოვრ.)

სოსიამ „ოთის“ უკანასკნელი წვერი გამოაბა აღდგოს, შეუდგა კერს, გაღწეწრა პირჯვარი, მისწივე-მოსსია თოკით ცხენებს და არხენინდ დასძახა:

— აბა, ცხენებო, ერთი მარდათ დაუარეთ!..

ცხენებმა თავის მოვალეობა სწრაფად გიგეს და ხალისიანად შემოიურბინეს ახლად ჩაშლილ კალოს.

დედაკაცები ორთითთ მუშა კალოში შანშლოდენდენ ძნის თათავებს.

დღელი ობობლი პატარა თამრიკო, რომლის მამა ოშშია წასული, შვილის შვილი სოსიასი, მარდათ დარბოდა კალოში და არჩედა სწორე ნაშგებს გიღელას დასაწნავად, სიღონია კალოს პირას ჩამოაქდარიყო და წა-



ლდით თავთავებს აშორებდა ულოებს, თან ხამუშ-ხამუშ ამოიკენესლა:

— დღეა გაგიქრეს, შვილებო!.. ვინ იცის ეხლა რა აღეშო ხარო, ვინ იცის იმ ჩემი ცოდით სადგე გეზმანიამ გაგიგმირათ ეგ ლომივით გულ-მკერდები... ჰკენისთ, დედას იწვევთ საშველათ და მე კი... მე... თვალ-ნაცირიანი ვერას გშველით!.. იი, დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!..

სოსიამ, ყოველმხრივ დაზარულ-დაკოდილ გულის მქონემ, კევრზე მიიწვ შემოსძახა თავის ძველებური „ოროველა“.

მაგრამ მის შემოძახილ ოროველას ის ღმიანი ელფერი აღარ ჰქონდა: უცხოს ასე ეგონებოდა თითქოს სოსიას ერიდებოდა ვისიმეო.

— ნეტავი ვიცილდე, რა გაძღერებს, შე უბედურო?!. ორ-ორი ვაჟკაცი შვილი „გაენ-ში“ გაყავს, არც კა იცი ცოცხლები არიან თუ მკვდრები...—წუწუნით და ამოოხვრით შე-ნიშნა სიდონიამ.

— ეჰ, სიღო, ბევრი დარდითა და ბოროტითაც არა გამოიღის რა: რაც ქვეყანას—ის ჩვენ. ნათქვამია: გადამხდა გადასავალი; სხვას უარესსა მოველიო... გაგიგია თუ არა, სიღო, ეს „ლესკი.ე ეჰ, რაც იქნება, იქნება!..

— აბა, თქვენი ღირიმეთ, ცხენებო, ჰე, მიშკავ!.. აჩუ.. ჰე, მიშკავ!.. შემოპკრა შოლტი ცხენებს და თითქოს წელშიაც გაიშალა სოსია.

ცხენებიც, იმათ ლაპარაკზე მოდუნებულნი, თითქოს იზიარებდნენ პატრონის ღირვარამს. სოსიას ხმაზე კი სწრაფად ცქვიტეს ყურები და ხალისიანად შემოასარილეს კობით მოქედილი კვერები.

— მოდი, დედაკაცო, შეუღდეკი ე კვერსა. მე წავალ, პატა მწვანე ბალახს გამოუთიბამ ვენახში და უქციოთ კიდევც.

სიდონიამ სწრაფად შეასრულა სოსიას ნათქვამი.

სოსიამ წამოაგვიღო ხელი ნამგაღს, გადიგლო მკლავზე, თოკიც თან გაიყოლა და გასწია ვენახისაკენ ბალახის გამოსათიბად.

ამ დროს, სოფლის კანცელარიის წინ

მოერკეათ ცხენები გასაზომათ. სოფლის მწერელი და რამდენიმე ამორჩეული პირი ამოწმებდნენ ცხენების ავ-კარგობას სამხედრო ბეგრისათვის.

— გზირო, ყველას ცხენებია გამორკეილი? — არაყისაგან ჩახლჩილი ხმით შესძახა მწერელმა გზირს.

— აბა, რა ვიცი, ყველაყასი იქნება, მარა, რა ვიცი!..

— მიპქარავ!.. აბა კარგა დაუკვირდი?

— ჰო, ჰო!.. მიგხვდი, მწერელო! ღმილით გამოეპასუხა გზირი.



— აქედ მოდექი, რა გიხხრა!—მწერალომ გვერდზე მოიხმო გზირი და წასჩურჩულა.

გზირი სწრაფად გაეჭანა და წუთსვე სოსის კალოზე გაჩნდა.

— ნათლიდ, სოსია სადა ბიძნდება?

სიდონიას გზირის დანახვაზე ელდა ეცა, გაფითრდა, გაყვიოთლა და ლულულულით ძლივს უბასუხა.

— ვენახშია ბალახის გამოსათიბათ. რა იყო, ბიჭო, ჩემი შვილებისა ხომ არა გაგიგიათარა, რათა კითხულობ სოსიას?! — შვილებისა კი არა, რას ამბობ, ნათლიდ, ცხენებსა ჰკრეფენ, ცხენებსა!..

გზირმა აღარ დაუტყდა სიდონიას მოთქმა-ტირილს და ვენახისკენ გაეჭანა.

გულ-ამღვრეული, ბრაზ-მოზრეული სოსია სცემდა ნამგლით ბალახს. მგონია უფრო იმისთვის იყო გულ-მოსული, რომ მისი შვილები, რომლებიც ასრულებდნენ ყოველივე საჯაფო სამუშაოს, ახლა შინ აღარ იყვნენ და ყოველივე საქმე თვითონ დაატყდა თავს.

გაბრაზებულს, თიბვის დროს, გაღესილი

ნამგალი შავი—ღვდა ვაზის ძირისთვის ზოგ-  
 ხედრებინა. აღმასივით ნამგალს ისე შეეკრა  
 ვაზი, რომ ვეღარ დაძრო და ლანძღვით  
 ეჯაჯგურებოდა. ამ ღროს გზირი თავს წაადგა.

— გამარჯობა, სოსიავ!

— გაგიმარჯოს! იყო გულცივი პასუხი.  
 აი, გაგავერანაა შენა!.. სისხლ-გამშრა-  
 ლი ხელებით მისწრაფ-მოსწია ნამგალი და ვა-  
 ზის ძირს დააძრო.

— აი, ჩემი ცოდით აიშოს გერმანია,  
 რომ ამ დღეში ჩამავდო.

— რას იხავ, სოსიავ, მარტო შენს თავს  
 ხომ არ არის, ყველას კარგებდ და არის მაგის-  
 თანა აქლემი დაჩოქილი. გულ არხეინდა ანუ-  
 გეშა ცოტა შეზარხოშებულმა გზირმა.

— სხვა? შენ უამბოთ არ გაირჯებოდი,  
 კიდევ იქნება რამე ჩემს თავსა.. სთქვი!..

— რა უნდა გითხრა, სოსიავ, შენ ხომ  
 იცი, ღღეს ცხენების მოკრეფა, შენი ცხე-  
 ნები კი კალაში გიბია.

— მერე?! თითქმის შეჭდრილა შუბლ-  
 შექმუნხილმა სოსიამ.

— მერე და... ხომ იცი ვის ხელშია  
 არის: იმან შემოგითვალა: თუ ხუთ თუმანს  
 ეხლავე გამომიგზავნი, ცხენები დავჩეხაო, თუ  
 არა და ეხლავ გავერკამო, კალოსაც არ გა-  
 მოგაყვანებო.

— კაცო, ღმერთი არა გაქვს? ვინ მომცა  
 ხუთი თუმანი? თითქმის ტირილით უბასუხა  
 სოსიამ: ღვინო მე არ გამიყიდნია და პური,  
 სამუშაოთ კიდევ ახლია არ მიკარებენ. ვინ  
 ოხერი მამუშავებს, კული ვერ ამიწევია.

— აი, სოსიავ, მე ხომ შეგატყობინე და  
 მერე რომ ინანო—ჩემი ბრალი არ იყოს.

— რას ამბობ, ეი, ოხერო, ვიღაც გდი-  
 ხარ!.. რა ჩემი შვილები შემოიბიტანდნენ: შენ  
 ხომ იცი ორი მყავს—ორივე „ვანში“ არიან.

— იმ ერთი მამლისა არ იყოს: მე კი მი-  
 ყვლია და—გინდა გათენდეს—გინდა არაო!..  
 შენ იცი, მე მივდივარ. დაცინვის კილოთი  
 სთქვა გზირმა და თან საჩქაროთ გასწია.

— ჯანდაბასა და მოუსაყლეთში წადით  
 შენცა და შენი გამომგზავნიცა. დაგწყევლოთ  
 ჩემმა სილოცებმა!—მაღალის ხმით მისძახა  
 სოსიამ მიშავალ გზირს.

გზირმა სწრაფად მიიბრინა მწერალთან,  
 გადასცა ყველაფერი და თან დასძინა:

— შენცა და მეცა დღემამის სული ოთხ  
 გროშით გაგვიხადა... მაშა..

— ჰო, ახლა მე ვიცი. სტრანეიკებო,  
 ორნი ვაპყევით გზირსა, ეს გაჩვენებთ ცხე-  
 ნებსა და ეხლავე აქ ამოკრეფეთ!.. ნებით არ  
 მოჰყავს და ილანძღება კიდევ!..—უბძანა  
 მწერელმა იქვე მღვამე სტრანეიკებს.

ბრძანება შესრულდა.

გაფიცებულ კალოს მარდათ უვლიდნენ  
 ცხენები. სიღონია თუმცა მოხუცი იყო, მაგ-  
 რამ მაინც ყოჩაღათ იღვა ეკვრზე და ხელოვ-  
 ნურად იარშიებდა ცხენებს.

— დიდელი, დიდელი!.. გენაცალე ტრაე-  
 ნიკები მგონია ჩვენთან მოდიან!.. შეშინებუ-  
 ლის ხმით შეჰყვირა თამარიკომ, რომელიც მე-  
 ორე ეკვრზე იჯდა.

მართალი გამოდგა.

— დააყე, დედაკაცო, ე ცხენები. დაუ-  
 ყვირა გზირმა სიღონიას. ცხენები დადგნენ.

— მოდით, გამოუშვით ცხენები!

სტრანეიკები მისცივიდნენ ცხენებს და  
 გამოშვება დაუწყეს...



შეიქნა წივილ-კივილი. სიღონიამ ვეღარ  
 მოითვინა, დაუწყო ლანძღვა გინება, თანაც  
 ორივე ცხენის სიდავე მაგრა ჩაებლუქა და არ  
 ანებებდა.

— რა ვანდათ, თქვე კომლობა გაციებუ-  
 ლებო, შიშლით ხ-მ არ ამოგვხოცავთ, კა-  
 ლო რიღათი გავლევწოთ?! კოჯა სიღონია  
 და თან მათს ძაღომპრეობას იგერიებდა.

— პრიკაზია, პრიკაზია!.. როგორ შეგიძ-  
 ლანთ, ცხენები არ წარმოადგინოთ!? ყვი-  
 როდა გზირი.



— გამალეწინეთ მინც, თქვე დამსებულემო ვაფთრებული ყვიროდა სიღონია და თან მაგრა ჩაეკიდნა ხელი სადავისთვის...

— დახე ამს ეი! სამ-სამი კაცი უნდა დაგვიბრძოყოს?! კაცო, წაველეთ ხელი. სტრაჟნიკები მისცვიდნენ ხელეშში, თითქმის თითები დაუგრძობეს სიღონიას, და მინც ვერ იქნა — ვერ წაართვეს ხელიდამ სადავე.

— მიშველეთ, ქრისტიანებო! გამალეწინეთ მინც!.. გამალეწინეთ მინც!.. შესაბრალონი კილოთი კიოდა სიღონია!..

— აი, დასწყევლა! გაბრაზდა სტრაჟნიკი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გადაუგრიხა თითები, ააშვებინა, მოიქნია სიღონია და იქვე კალოს სანაპირო დიდ ქვაზე დაარტყმევინა თავი. სიღოს წასკდა სისხლი, უგონოთ შეიქნა. სოსიამ შორიდან შენიშნა ეს უბედურება და აკიდებული ბალახით გამოექანა ყვირილით:

— რას ჩადით, კაცო, ნუ მოკალით ე დედაკაცი. გადაავლო ბალახი კალოს პირას სოსიამ და შეეჭრა იმათ.

— რა განდათ, კაცო, გამალეწინეთ მინცა ე კალო და მერე თავშიამც ქვა გიხლიათ...

— დიკარგე იქით, ის ხომ აფთარი იყო და შენ უარესი იქნები! — დაუყვირა სტრაჟნიკმა და ერთი მაგრათ ჩაარტყა თოფის კონდახი კისერში სოსიას. სოსია დამარგანავდა, თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მინც ფეხი მოიმაგრა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ჩაჰკრა ნამგალი გზირსა, რომელიც ხელში შერჩა ბალახის მოხსნის დროს.

— ეს სუ ყველაფერი შენი ბრალია და აი ესეც შენა. მინც აღარა ვარ და აღარა, — ღრილობდა სოსია: ვერ მოგეცი ხუთი თუმანი და იმისთვის შელტეტავ?! შესძახა სოსიამ გზირს და ნამგალი წამოუსვა. სტრაჟნიკებმა რა დაინახეს გზირის სისხლი, კონდახის ცემით გაიგდეს სოსია... სანამ კნცელარიამდი მიიყვანდნენ, ექვსჯერ წაიქცა ნაცემი, ბოლოს თითქმის შიათრიეს და ჩაავდეს გომში.

გათენდა დილა. გომის კარები გაიღეს.

— ადე, კაცო! უყვიროდა სტრაჟნიკი. სოსიას პასუხი არ იყო.

— დახე ამ ქოფაკსა, დილის ძილიც რო გამოუქმინია, მივიდა სტრაჟნიკი, დასკა წიხლი. სოსიანი მხოლოდ გაშვეებული გვამი შეინძრა.



მომკვდარყო.

სიღონია კეთილ მეზობლებს ჩაეწვინათ ლოგინში, მისცემოდა საშინელი სიცხე და თან ბოდაველ:

— გამალეწინეთ მინც... გამალეწინეთ. გამა... გამა... ხამუშ-ხამუშ ამოილულულულეღბდა...

გაულეწივი კალო აებულულეზინათ. პატარა თამრიკო ფეხთით ეჯდა სიღონიას და ლაპალუპით ცრემლები ჩამოსდიოდა...

**ივ ესტ. მჭედლიშვილი**

**დაუშვიწყარ ზოლას!..**

ის ეწამა... და უშიზრად,  
როგორც ღომში, შეხვდა ვნებას:  
ვნების შემდგომ მოელოდა  
აყვავებს, შევბა-ლხენას!..

ის წავიდა გოლგოთისკენ,  
უკვდავების მოსატანად, —  
ის ავიდა სამსვერპლოზე,  
მძიმე ჯვარის ასატანად!

იგი მოკვდა?.. მაგრამ არა:  
უკვდავთ რიცხვში ჩეწერა:  
დაიღალა და ტანჯულმა  
შეაჩერა გულის ძგერა!..

**ვას. როინიშვილი**

# ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

## სახინო

(გუძღენი ვ. და დ. აბელედიანი)

უნახე სამოთხე — ბღნარი,  
 წაღკოტი გაზაფხულის,  
 შექნება სრული, ნარნარი,  
 დამატებელი სულის;  
 შინთა და შთავრით დამტკბარი,  
 კაქლუტად ვუფის სუფის,  
 სამშობლო ქვეყნის ვუფილი, —  
 ოცნება სიყვარულისა.

ფერად-ფერადი ვაზები,  
 ფერად-ფერადი მთებია,  
 ქალწულივითა ნაზებია,  
 უშისა გარდამდებია;  
 სტუმარსა, მისი ცქერითა,  
 ტრთობის ცნესლი მთებია  
 და საიდუმლო მღერითა  
 გულიც მას შეთანხმებია ..

რადესაც დილა ციმციმებს  
 აღმოსავლეთის კართა,  
 „მსუეთ-ამოდის“ ქვეითნებს  
 უიშურა ცისურის ქართა,  
 სიღარი ფაფარს აიურის,  
 მთის ამბავს მოსთქვამს ზართა,  
 რათინ გულში ჩაიკრავს  
 და დაბარებულს ბართა —  
 მსუილ მსუილით წაიდებს,

შავი ზღვის შესტირათა:  
 — ისმინოს ვინაც გაიგებს,  
 იზარდას საღისის გმირათა!

—  
 რა უნდათ? რასა მოსთქვამენ?  
 „ჩემო სამშობლო მხარეო,  
 შეკრდი გაქვს ვუვიდოვნი,  
 სინდონსლე, შხამზე მწარეო;  
 თუმც ზამთარ-გაზაფხულზედა,  
 დაცნათის მზე და მთვარეო, —  
 წელულები გაზის გულზედა,  
 სისხლია მინანარეო!

—  
 სადა გუფის ბბ ღომგული,  
 შენი მკლავ — ღაღი შეილები,  
 შენი ძუძუთა ნაზარდა,  
 შენგანვე დალოცვილები?  
 — უმართლო ბრძოლის ველზედა,  
 შორს ჭურთან დახდცილები  
 და ეზვევიან ველზედა,  
 ქვემძრთმი უია-მიილები!

—  
 გუშინაც ჩამოვიარეთ  
 და დღესაც მთა და ბარია, —  
 უოყვლავნ ცრემლი დაგვიხვდა,  
 უოყვლავნ გლოვა — ზარია.  
 უცხედრო გუბოს დაჭვივის  
 თმა-გაშლილ ქალთა ჯარია,

გახელებულა სიკვდილი —  
 ქვეყანა მოურია!

—  
 განა არ ემარა წამება,  
 ტანჯვა და სიმწუხარეო?  
 — შემოიღვექ ბორკილი,  
 სრულდები უკუ-ჭყარეო!  
 ბუნების სიღამაზუნა,  
 საქმენიც შეუღარეო,  
 აიშვი ბედი დაბუღი, —  
 სიღარსა დაღარეო!  
 ერთსულაც განსო ღებნითა,  
 იმედით მოუღვარეო,  
 სხანთ, ჩემო თვალ ჩანო,  
 სამშობლოს ტურთა მხარეო! “

—  
 მთიმდერიან გეუმაზნი,  
 დუღუნით ვაღვუე სტებთან,  
 ცხოვრებით დაჯანბებულნი,  
 მეკატრ თმითა სდგებთან;  
 ვუვილინი თავსა უკრავენ,  
 მთანი ბასს გუბებთან,  
 და სატრფო — ქართლის დედანს  
 შეკვლასა ვეღვრებთან...

## 6. ჩხიკვაძე

სახინო 18 მარტიამობისთვე.

## ს უ ლ ი ს ქ ა ხ ი ლ ი

I  
 ვხედავ ხეს სურო შემოპხვევია,  
 ბორჯილის მხეავსად, ბორჯილის დარად  
 და ეუბნება: „დამემორჩილც,  
 ნულარ ირხევი მოუსვენარად“.

ხე კი, მონობით ვულ განგმირული,  
 თვის მტანჯველს ებრძვის, არ ვთანხმება,  
 თუმცა დლითი დღე ძალ-ღონეს ჰკარგავს,  
 და შესამჩნევლად ყვითლდება, ჰხმება ..

## II

ასე, მეც ირგვლივ შემომხვევია  
 მკაცრი ცხოვრების რგოლები, რკალი;

ულაბნოდ მექცა გზა გასავლელი,  
 ფეხებს მიწყლულებს ბასრი ეკალი  
 და მინც მივალ... აღთქმულ ქვეყანას  
 მიხატვს თვალწინ ვარდის ოცნება,  
 იაგრამ ვილაცა მაფრთხობს, მეძახის:  
 „უკან დაბრუნდი, არა გაქვს ნება.  
 უკან დაბრუნდი, თამამო მონაც!  
 ნუ ხარ ამაცი! ნუ ხარ თავხელი!  
 თორემ ვახოკუნს, არ შეგებრალბს  
 მოგლუნავს წელში სასტიკი ბედი  
 და, ვით ფოთოლი შემოდგომისა,  
 ძალ-მიღეული ძირს დაეცემა...  
 მესმის ეს... ვატკოვ, ვგრძნობ, რომ თან და თან  
 სუსტდება, ჰოი, ნაბიჯი ჩემი





და ვფიქრობ: ნუ თუ, ცხოვრების კანონს დავემორჩილო, როგორც ხე სუროს, ნუ თუ, ჩემს სულში ღვთიური სწრაფვა ამოიშრიტოს, ამოიწუროს:

ნუ თუ მონურად მოვხარო ქელი, ველარ გავსცილდე განსაზღვრულ საზღვარს და, დაკოლიდი გულის მალამოდ მივართო მხოლოდ ცრემლთა ნიაღვარს?! მაგრამ არას დროს... მე წინსვლა მინდა თვით უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, მინდა ძახილი ჩემი სულისა.

ასცილდეს მიწას, ავიდეს ცამდის... და თუ ვერ შევსძლებ ჩემს რწმენის ტაძარს თვითვე დავანგრე, გავანადგურებ, უმეღობით დატვირთულ გულით იმ ნანგრევებში დავისადგურებ, დემონიური შხამით მოვსწამებ შეგებით აღსავსე ცხოვრების შვილებს, და მათი კენესით, მათი გოდებით თვით მე დავიტკობ გულის ტკივილებს..

**გ. მეგრელიშვილი**

# ბედი ქართლისა

ისტორიულ ქრონიკა 4 სურათად

(გაგრძელება, იხ. „თ. და ც.“ № 49)

## მისამე მოძმეება

(სტენა წარმადგენს შიგანის სიონის ტაძართან. მეორეს და მესამე მოქმედებას შუა გადის ერთი კვირა)

I

### ორი მოქალაქე.

**პირველი** (გამოადინ დახარაჯათ უკანა კუთხესებთან) მაშ შენ თვითონ ნახე ანტონ კათალიკოსი სიონში რო მობრძანდა?

**მეორე** ვნახე, დიახ, ხელზე ვემთხვიე და მაკურთხა კიდევ!

**პირველი** გუშინ ვერ წავედი მცხეთას გიორგი მეფის დაკრძალვაზე... ხალხი ბევრი იქნებოდა.

**მეორე** ბევრზე-ბევრი! სვეტი-ცხოვლის ტაძარში ტევა არ იყო და გალავანშიაც იმდენი ხალხი იღვა, რომ განძრევაც არ შეიძლებოდა. დიდის ამბით და დიდებით დაასაფლავეს მეფე.



ლ. გ. ლომშა

სახელმწიფო სათათბიროს წევრი, პოლთნეთის კოლოს ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი, გარდაიცვალა 18 გ თრგობისთვის.

**პირველი** კათალიკოსი თბილისს როდის ჩამობრძანდა? ამბობენ სომეხთა პატრიარქიც აქ არისო.

**მეორე** კათალიკოსი ღღეს განთიადისას ჩამობრძანდება და სხვანი კი წუხელისვე წამოვიდნენ. სომეხთა პატრიარქიც ეს ორი ღღეა მობრძანდა ეჩმიაძინიდან.

**პირველი** ღღეს აქ რა ამბავია, რომ ხალხი შორეუკეს? რალაც განცხადება იქნებო?

**მეორე** რა ვიცი, რალაცას აცხადებს მთავრობა... აი, გაიხედე აქეუკენ თავდაზნაურობა მობრძანდება.

II

ივინიფე, ბაგრატი, ოთარ, რუსის ჩინოფნიკი, თავადნი, აზნაურნი; ამათ გამოსყდამდის გამოადის რუსთა ჯარი, რომედიფე შწკრეფად დაღებბს სიონის ზირდაზირ; ქართველი ხალხი, დელაკაებნი.

**ჩინოფნიკი** მთავრობის განკარგულებით ყველანი მოწვეულნი ბძანდებიან სიონის ტაძარში განსვენებულ გიორგი მეფის პანაშვილზე. მეფე პარაკლისი იქნება გადახდილი და იმის შემდეგ რუსულს ენახე გამოცხადებულ იქნება უმეღოფესი მანიფესტი, რომლის ძალით საქართველო შეერთვის რუსეთს საუკუნოდ. ხვალ მანიფესტი, ამ სიონში-ვე, წაკითხული იქნება ქართულად და ვანქის ტაძარში სომხურად. თათრულად კი წაკითხული იქნება ხვალ დიდს მეჩითში, საყოფელთაოდ, რომ ყველამ იცოდეს ხელმწიფე იმპერატორ-



რის უმაღლესი მანიფესტი საქართველოს შეერთებაზე. (ხალხში ჩუმა ჩოჩქაღაია)

**ბაგრატი.** (ჩინოვნიკს) ბატონიშვილი დავით და ვეზირი კოვალენსკი სობოროში ბძანდებიან? (ხალხი ჭკუჭკუჭუჭად დაიფეთება და ჩუმი ღაზნაჯა და მოძრაობა აქვთ)

**ჩინოვნიკი.** დიხ, დილა ადრინადე მობძანდენ და ახლა ანტონ კათალიკოსთან უნდა ბძანდებოდნენ, იმის სდგომში.

**ოთარ.** (ერთს მოხუცს თავადს ზაზას) შენ არ გიკვირს, ბატონო ზაზა, რა ცოტა რამ არის სპირო აღამიანისათვის?

**ზაზა.** არ შესმის რაზედა ბძანებ?

**ოთარ.** აი, შეშხებდე... ეს ხალხი ეს არის მსკეთიდან ჩამოსული, სადაც განსვენებულს გიორგი მეფის ცხედას მწვარედ დასტერიდა, ახლა, ისევ ეს ხალხი, რაღაც მხიარულებას მიეცა, თითქო უხარის, რომ მეფე გარდაიცვალა! აი, ჩვენ ყველანი ასეთები ვართ! ჯერ ცრემლი არ შეგვეშრობია თვალზე, ვეცინით რაღაც მიზნით.

**ზაზა.** ჰო, ახლა კი მივხვდი რასაც ამბობ! ეჰ, ჩემო კარგო, აღამიანი დაუდგრომელია თავის გრძნობებში... ოთარ! შენ გააფებინე როგორმე დავით ბატონიშვილს ჩვენ, თავადნი ცალკე გვიჩახულის როგორმე, სასაუბრო რამე გვაქვს ჩვენ იმასთან

**ოთარ.** ვეცდები, როგორმე მოვახსენო, მაგრამ არა მგონია, რომ ჩავედოთ ხელში, ვეზირს ისე მაგრა ჩაუკიდნია მკლავი, რომ დავითს ერთს წამსაც არა შორდება.

**ზაზა.** რაო, ახლო? რისთვის უჭირავს ხელში ავრე მაგრა? რა? ეშინიან, არ გამეკცესო?

**ოთარ.** ჰო, ალბათ რამე ევეკი ექნება!

**ზაზა.** (ჩინოვნიკს) ერთი მიბძანეთ, ტაძარში ჩვენი ს.მღვდელთობა არის ვინმე?

**ჩინოვნიკი.** სიონში მთელი ქალაქის ს.მღვდელთობა ბძანდება. ანტონ კათალიკოსს გარდა, სომეხთა პატრიარქი თავადი იოსებ არღუთაშვილი-მხარგრძელიცა ბძანდება.

**ზაზა.** დავით ბატონიშვილი საღლა ბძანდება?

**ჩინოვნიკი.** ანტონ კათალიკოსთან.

**ზაზა.** ცოტათი მაინც არ დამშვიდება?

**ჩინოვნიკი.** ჯერ არა, ბატონო! კოვალენსკისთან როგორღაც ვერ არის კარგს ვანწყობილებავი. (სიონიდან ისმის სამკლავიანო გაღება ჰანაშვიდის. შეუღვენ სიონში: ჩინოვნიკი, ოთარ, ბაგრატი, ზაზა და თავადნი. სხვანი, ვინც სტენაზე არიან, მუსხლ მოიფრანს, ქუდაებს იხდიან და ცოტას ხანს გაღებას უფრს უგადავენ)

**პირველი მოქალაქე.** (შეჟარეს) შენ ატყობ, რა ჩოჩქოლი აქვს თავად-აზნაურობას? რაღაცას აპირობენ.

**მეორე.** როგორ არ ვატყობ, მაგრამ თუ აპირობენ რასმე კიდევ, რას გააწყობენ, ერთი მითხარი? ვერაფერს, დამიჯერე მე!

**პირველი.** ვნახოთ, ვნახოთ რა იქნება! წამოდი, ჩვენც შევიდეთ სიონში. (შედიან. სიონიდან გამოაფვენ: დავითი, კოვალენსკი, ღაზნაჯა, ბუჩუკი და სხვა ბევრნი თავადნი, აზნაურნი)

**კოვალ.** (ბურს) მამაო! უთხარით ამ ხალხს ორიოდ სიტყვა იმის შესახებ რაც ახლა ტაძარში გამოვაცხადეთ.

**ბერი.** ბატონი ბძანდები! ხალხნო! მოისმინეთ ჩემი სიტყვა! (ვეჯღანა შეჭკუჭუჭებიან ბურას სახლაფუქს. ბერი კიბეზედა სდგას, სხვანი ძირს ჩამოაფვენ. დავითი, კოვალენსკი, ღაზნაჯა, ოთარ ერთს ჭკუჭუჭად ჯგანს, სხვანი მუთავე ჭკუჭუჭად.) რუსთა იმპერატორს რწმუნებულმა ვეზირმა გამოაცხადა იმპერატორის უმაღლესი ბძანება, რომ დღეს მთელი საქართველო სამუდამოდ შეუერთდა რუსეთს, რომელიც იქნება ჩვენი მფარველი ყოველს შემთხვევაში და რომელიც დავვიცავს მტრისა აკლუბისაგან. საქართველოს ბევრი მტერი ახვევია გარს! ამის შემდეგ დამშვიდდება საქართველო. დღეის შემდეგ საქართველოს მტერი აღარა ჰყავს. დღეის შემდეგ იცხოვრებთ თქვენ თქვენთა ოჯახებში უზრუნველად, ტკბილად, უშიშრად, წყნარად! დღეის შემდეგ ხელში მახილი და თოფ-ხმალ-იარაღი აღარ გეპირებათ მტრისა მოსავერებლად, მის ნაცვლად გეპირებათ დედამიწის სამუშაო იარაღი, ბედნიერ არს დღევანდელი დღე რომ ჩვენ მოვესწარით მაღალსა მფარველობასა უუძმლოვარესისა ხელმწიფისა მთელს დედამიწის ზურგზედა! რაღა ჩვენ გვეღირსა ეს დღევანდელი

დღე და ჩვენთა წინაპართა კი არა? ეს დღე არს აღმადგენელი ჩვენი, ბედნიერებისა, ჩვენი კაცობრიობისა და დამამხობი არის ჩვენის უედურობისა და უქილურების მდგომარეობისა! ბედნიერ არს ეს დღე ჩვენთვის! ბედნიერ არს ეს დღე ჩვენთა შვილთა შთამომავლისათვის ვინ მოგვეცა ჩვენ დღეს ეს ბედნიერთა — ბედნიერი დღე?.. მაღალმა ღმერთმა, ყოვლად მკურობელმა ცისა და ქვეყნისა და უუდიდესმა ხელმწიფემან, მკურობელმან მთელისა რუსეთისა! მაშ, ძმანო, ვადიდოთ და ვაიღოთ ჩვენი ხელმწიფე იმპერატორი მრავალ ეამიერ, მრავალ ეამიერი! ამინ!

**ხალხი.** ამინ! ამინ! ამინ! (ბერი ჩამოვაძის და ხალხში გაქრება)

**კოვალ.** (ათარს) გამოუცხადეთ ხალხს, რომ მე მომისმინონ.

**ათარ.** ხალხო, რუსთა ვეზირის სიტყვა მოისმინეთ!

**კოვალ.** მისმა უდიდესულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა მომანდო მე გამოგიცხადოთ შემდეგი: დღევანდელ დღიდან თქვენი მთელი საქართველო, თქვენი მეფეთა ოჯახები, ყველა თქვენი ზატონიშვილი, ყველა საპატიო და წარჩინებულნი პირნი, თქვენი ყველა სასულიერო წოდება, თავადნი და აზნაურნი, ყველა მოქალაქენი და სულ ყველა მცხოვრებნი საქართველოსა შეერთებულ არიან დღის რუსეთის სახელმწიფოს, უკუნითი-უკუნისამდე. იმპერატორი გპირდებათ თქვენ მოგანიქოსთ ყოველსა მცხოვრებელს თავთავისი ყოველ ნაირ უფლებანი და დაგიცავსთ ყოველი გარე მტრისაგან და შინაურის უწყესობისაგან!

**ხალხი.** ამინ! ამინ! ამინ!

**კოვალ.** საქართველოს ყოველი შემოსავალი მოგხმარდებათ თქვენვი, თქვენის საჭიროების მიხედვით, აღგედგინებათ თქვენი აოხრებული და მტრისაგან დაქვეული ტაძრები, ეკლესიები, დაბა-სოფლები და ქალაქები, რომ საქართველოს ყოველი მცხოვრები მოჰკიდებდეს ხელს თავის კეთილ ცხოვრებას.

**ხალხი.** ვმადლობთ! ვმადლობთ! მრავალ ეამიერ იყოს სიცოცხლე ხელმწიფე იმპერატორისა, ამინ! ამინ! ამინ!

**კოვალ.** მომილოცავს, ბატონიშვილო, რომ დღეს აღსრულდა საქართველოს მცხოვრებთა დიდი ხნის გულის წადილი.

**ლაზარევი.** ბატონიშვილო! ჩემგან მიიღეთ უმდაბლესი მოლოცვა ამ უმაღლესის წყალობისა და აგრეველ გულთიერი მოლოცვა რუსთა ჯარის ყოველ მემორისაგან!

**კოვალ.** ახლა სასახლეში წამობანდით, ბატონიშვილო, ნადიშვი! (ხელს ჩააფუებს და გაუღებ. გაქვევბიან ოთარი და ბავრატა, ღაზარევი. თავად-აზნაურთა და მოქალაქენი დაჩქებანი ხალხი დაიმუხება, ჯარეც გაყა)

III

**ორი მოქალაქე; თავადნი: ზაზა, ერეკლე, გედევანი, არჩილ, ნიკოლოზი, გივი, ბეგლარ, ნინიკა, ტატო, იოსები და ჩინოვნიკი.**

**ჩინოვნიკი.** მადლობა ღმერთს, კარგად გათავდა მანიფესტის გამოცხადების საქმე!

**ზაზა.** ჯერ ვინ იცის, კარგად გათავდა იუ არა?

**ჩინოვნიკი.** როგორ თუ ვინ იცის? რასა ბძანებთ, ბატონო? (შანამდისინ ეს ორნი დაზარკაბენ, სხვანი სიონის გუგდით ჯგუფათა დგანან და ჩუმიად დაზარკაბენ)

**ზაზა.** ჯერ ვნახოთ რა იქნება? კი არ ვინანთო შემდეგში! ხალხი ჰხარობს, ამინ, ამინს ვიძახის და საქმეს კი ვერ მიმხვდარა!

**ჩინოვნიკი.** ხეალ, ბატონო, ყოველგან იქნება კედლებზედ გაკრული ხელმწიფის განცხადება და მაშინ ხალხი დაწვრილებით გაიგებს ყველაფერს.

**ზაზა.** ხეალ ხალხი ამაზე მეტს რას გაიგებს, რაც დღეს გაიკო!

**ჩინოვნიკი.** რა? ხომ არას აპირებთ?

**ზაზა.** არა! რას უნდა ვაპირებდეთ?

**ჩინოვნიკი.** მაშ უნდა რისთვის დარჩით ყველანი, რატომ ბატონიშვილს და ვეზირს არ გაჰყვით სასახლეში ნადიშვი?

**ზაზა.** დიხ, დიხ! ვიახლებით, როგორ არა, ვიახლებით! ჯერ აღრეა!

**ჩინოვნიკი.** მაშ წავალ, მოვახსენებ ვეზირს, რომ მობძანდებით!

**ზაზა.** თქვენი ნებაა!

**ჩინოვნიკი.** მაშ მე თავს განებებთ და მივიდვიარ.



**ზაზა.** წაბრძანდით, ბატონო, თქვენი ნება არ არის? (ჩინოფნიკა გაეცა)

**კ. უიფიანი**

(გაგრძელება იქნება)



**პოლკოვ. მირიან ჩხენია**  
(დაპრილია)



**ბრიკენტი აბრახანია**  
(მიკლუღია)

# გ ა ნ ც ღ ა

(გაგრძელება, იხ. „თ. და ც.“ № 49)

ილომ შუშანა რომ გაიტაცა, ბინდებოდა: საღამოს ნიაფი ნაზად დაჰქროდა, შვისგან გახუტებულ ხეებს საამურად არხვედა; ხოლო ფოთლებს, ვაზის ფურცლებს, იქავ, ყვავილებს, ვით შეყვარებულთ, შეჰფუნუნებდა და საამურად ახმურებდა...

მოტაცებული შუშანა ილომ ცხენზე შემოსული მოხუც მამიდასთან მიიყვანა...

მამიდამ შეიყვანა შუშანა დაბალ კარებით, ჯერ დერეფანში, შემდეგ პატარა დარბაზში, რომლის კარებმა ისე დაიჭრიალა, თითქოს იქაურობას სასიამოვნო სტუმრის მოსვლა ამცნო...

— მომიტევე, შუშანა, რომ აქაურობა არ წაავგოს მამიშენისას...

— არა, რას ამბობ...

თითქმის საყვედურის კილოთი მიუგო ილომ შუშანამა და მის მხრებს მიეყრდნო.

— შეუღლებთა ერთგულებამა და შრომამა სოფელი გააშენაო, ნათქვამია, შეილო, და თქვენ ხომ თავშესაფარი გაქეთ.—უთხრა მამიდა—ახლა, შვილო!—მიმართა ილოსა—ჯვარს როდის იწვირ?

— მალე, მამიდა ჩემო.—მიუგო ილომა

და შუშანას შეხედა.—იი, შუშანას მამის შეუთვალე და პასუხს ხვალ ველი...

— უარს მიიღებ...

— მაშინ, მტერი რა ღონეა, უკან დავაბრუნებ...

— რას ამბობ!—წამოიძახა შუშანამა და საყვედურის გამომეტყველებით შეხედა,—ხომ იცი მე...

— მაშ, თუ აგრეა, ჩემო ყველავე, ხვალვე ჯვარს იწვირ. დალოცვიტაც, მშობლებს ნაცვლად, მამიდა ჩემი დაგვლოცავს.

ამაზედ ალარა უთხრა რა, ხოლო სიყვარულის აღერსით შეხედა.

ამის მეორე დღეს ელომ, უარის გარდა, მუქარაც მიიღო შუშანას მამისაგან, რასაც არ მოერიდა და ჯვარდასაწვრად ეკლესიაში წავიდა.

სოფლის თავში, პატარა გორაკზედა, პაწია თეთრი ეკლესიაა, რომელშიაც შუშანა და ილო შევიდნენ „მეტად ღარიბი საყვარელი“—გაივლო გულში შუშანამა. არც იმ გვარია, ქალაქ გორში ჩემმა ბიძაშვილმა როჯვარი დიწვირაო, ხოლო გული კი ამაზე უფრო შევარდა...

აი, დაყენეს შუა ეკლესიაში, მარჯნივ ამოუდგა ილო; ღმერთო! მის ზენიერებას სასლავარი არა აქვს...

მეგრამ, რაღაც ხმაურობა... ეკლესიაში ნაცნობ მამისახლისის ხმა შემოგვმა:

— მოძღვარო, შეგებრდით ქალი მოტაცებულია, ჯვარს ნუ სწვრთ.

— ილო კარიაშვილი დაიკით!—შემოიძახა ბოქალუმა—ქალი ძალიდ მოუტაცუნია,—ამა, ჩაფრებო, გაუკარით ხელეში.—შემდეგ მიმართა მამანებთ ილოს, რა შემოგრტყენ ვარს ჩაფრები—იარალი ვაქვს?!

— საღეთო ტაძარში იარალი?... ვაკვირებით მიუგო ილომა; ან რაში მინდოდა იარალი?..

— მოძღვარო! მიმართა შემოსილ ღვედელსა, რა დამზვიდდა ბოქალუი, რომ მას ავაზაკთან არ ჰქონდა საქმე.

— ძალდატანებით ვაწვირებებს ჯვარსა?

— არა, შვილო!—მიუგო მოხუცმა გამოცდილმა მოძღვარმა—ვაჭი უცოლოა, ქა-

ლიც ვასათხოვარი; კარგა ვიცნობ, ორთავე წლოვანია; ვაქს რბაშუფორთი“ აქვს, ქალს ნათლობის საბუთი...

— ილო კარაშვილიმა ძალ თ მოიტაცა...  
— წამოიძახა იქვე ჩაფრებ შორის არტემამ: ეგ ყაჩაღივთ დაგვეცა...

— არტემი სლყუსი.— მიმართა შუშანამ ბოქაულს, რა გამოარკვია არტემის ხმა— ილოს მე ჩემისავე ნებით გამოვეყე, ხოლო შენ კი,— მიმართა მკაცრ დ არტემას— არტემ, მეზიზღები...

— და სრულ წლოვან ქალს,— დაუმატა მოძღვარმა,— ნება აქვს, ვინც სურს იმაზე იქორწინოს; ამის გამო მე, მოძღვარმა, ილო-სა და შუშანას ჯვარი უკვე დავწერე.

— ქალი— ნებაყოფლობით წამოიპოლიო.  
— უთხრა ბოქაულმა არტემას:— აქ არც მოტაცებაა, არც ძილდატანება და აიტომ ჩემი აქ ყოფა უადგილოა.

შუშანას ვაუყვირდა ბოქაულის ასეთი სამართლიანობა, იმის შემდეგ, რაც კი მას უნახავს მისგანვე მამის დუქანთან... აღარ გაიხსენა ყოველი და სხხარულით მიეკრა ილოს, რომელიც აგრედვე ამ გვარ მოულოდნობით გაოცებული ბოქაულს შესცქეროდა.

უსაზღვრო ბედნიერება ჰგონობდნენ თავს:

ერთ სული და ერთ ხორცი ვართო,— ფიქრობდა შუშანა,— მამის წყრომის კეთილი დედის ლოცვა ჩანებობსო...

მაგრამ, ბედნიერების თანამგზავრია უბედურება...



### ჭოიდიშოს მეფე

(მცირე გნმ რტება)

ესიკავისკის ცირკმა კანსტან. ანდრონის მიერ დადგმულ რეპლიკის მიფეა-ს შესახებ, სხვათა შორის, გახსნა ქათუფლოა-ში, ბ. აღ. ახმეტელმა და დეებით მხარეებთან ერთად, რეჟისორს უარყოფით მხარეებზე და „ამსხანგურად მიუთითა... ამ მითითებან დროს კა აღმოჩნდა: თუმცა რეჟისორი ბ. კან. ანდრონი აცხადებდა: „ტრადიციულად წარმოდგენილ იქნება ცნობად რეჟისორის რეინტარტის იდეათა“, მაგრამ იმ ს-

დამოს რეინტარტისა, რომელიც ამ ტრადიციას ბ. კან. ანდრონისა ინსტრუირებით სდგამს, ძალიან ცოტა ვოფელა...

ამ გაგრძობასთან ისვენებს ორი მიმართულება: ერთი— ბ. კან. ანდრონისა,— მყოფი კომპონენტ-რეინტარტისა და მათ მიმხრე ბ. აღ. ახმეტელისა...

უნდა აღინიშნოს, რომ რეპლიკის შეფასება წარმოდგენის ერთ გაგრძობაში ორივე მიმართულება სცდება: რატა თვალზე დასახილი რეპლიკისი ქალაქის შორდება, ბ. კან. ანდრონის რეჟისორობის დროს, მას (რეპლიკისს) თვისი ორივე ასული წინ მიუძღვებოდა... კომპონენტ-რეინტარტისი გაშენობა ბ. აღ. ახმეტელი კი თავის ვრცელ წერილში ამბობს: მას (რეპლიკისს) მხოლოდ კიბიდან ჩამოცდილებენ და მარტოდ-მარტო (სხვა ჩემია. მ. კ.) ჯიხვე ბჭებით მის ქალაქადან...

სწორედ აქ არის ორთვე მიმართულების შეცდომა...

თვით სოფელზე მოქმედების შესახებ სჯეროდა არაფერს ამბობს, მაგრამ რეპლიკის შეფასების უფავანკისობის ისტორიას და ამ ტრადიციას ტრადიციის ნაწილის— „ანტიკონიკის“ შინაარსი გავსწავლის, რომ დაზრმავებულ რეპლიკისს წინ გაუძღვება მხოლოდ უფროსი ქალი— ანტიკონიკი... ამ ისტორიულ რეპლიკისის უძრავად დასამტკიცებლად მოეფიქნათ სიტუაციის უძველეს კლასიკურ მითოლოგიის გერმანულ შედეგარს ბ. კან. ანდრონი, რომელიც ერთ თავის ნაშრომში— „თეოლოგი და რეპლიკის შეფასება— ამბობს: „გაძველებულისაღმე (რეპლიკისისაღმე) სიბრალული მხოლოდ მის ქალაქმა გამოაჩინეს... უმტროსი— ისმენა— დარჩა სხვებში თავის ძმებთან, რათა, შედეგების და გვარად, მამის საქმისათვის გამსახურან და, იმავე დროს, მისი ქომაცად უოფილიეთა; ხოლო უფროსმა— ანტიკონიკი— მამის გაძევება განიხარა და ბრძან წინამძღვრად მოეფელის. და, აი, მამისთან ერთად შეუდგა იგი სხარად მოგზაურობას და, მამისათვის მშვიდ-შეფურცლად და მიშველი უდრან ტუქეში დახეტებულად და სხვა... ამ უძღვრემას კი დიდი აზვარაში უნდა გავიქოს...

ამის შესახებ დანარკი ზოგს იქნება სჯობდაც ამ მიანდეს, მაგრამ თვით ბ. აღ. ახ-

მეტელიც დაშთაანსებებს (და რომ არ დაშთაანსებოდეს, მაშინ ამას შესახებ არც თვითან იტყვოდა რამეს), რომ ამ შთაქმელებს, როგორც ტრადიციის, ასევე ისტორიის უკუშპირტად გადმორგებისათვის, ძალიან დადი მნიშვნელობა აქვს... და, როდესაც ჩვენი რეკონსტრუქციის ბ. ან-მეტელის სხვა სამართლიან რეკონსტრუქციებს, ამ შემთხვევაშიც უკუადადება მიაქვიათ, რომ მათ ტრადიციის მშენებლებს ყურად ცხადვინ.

მის. კიაზოშვილი

### ბედნიერი ცხოვრება

... — ოცი საპაღნე ღვინო მომივიდა გენახში, ღვინო იყო მისთანა, რომე „შუანტკი“ მისთან სირცხვილით გაწითლდებოდა. სი-მინდოც ქე მომივიდა გვარიანათ: ასთე ათ ძამრამდი ქე დავფუშენიტე. ლობოი, ღომი თხილი, ვაშლი და კაკალიც მოვავტროვე ბლო-მით. ცხრამეტი საპაღნე ღვინო გავყვიდე, გუ-ვისტუმრე ვალები, ჩავაცვ-დავებურე ცოლ-შვილს, „შეე პაჩინკე“ სახლი, ღობე-სასიმი-ნდე, ვიყიდე ოჯახისთვის ყველაფერი ხელსაწყო, გამეფეკაშხე მეც ახალ ჩოხა ახალობში, ჩამევიტანე მთიდან შეშა... გამეფეშეყვე ყველაფ-რიც და დაუწყე ზამთარს მილოდინი.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ჩემო სო-სია. რაღა გიმამს: ზამთრის აღარ შეგეშინ-დება. სტორა რომ ბედნიერ ცხოვრებას მოს-წერებიხარ ამ შიმშილობის დროს.

— ეს! ჩემო გოგია, რაც ეხლა გითხარ ეს ნამდვილი გგონია? სიზმარში ნახე ყველა ეს. გუშინ დამ ჩემ პაწია ანაიას რომ ევთფე-ლი ღამეს ცოტა ქე ჩამძინებოდა.

— შე კაცო, რას ამბობ! რა დღემართა ანაიას?

— დღეს დიღას გარდამეცვალა ჩემი ბი-ტუნია. ვერ ეტანა შიმშილი; ეს!

გუგული

### ქართული სახიობა

სახალხო სახლში სეკენის მოყვართა წრემ კვირას 6/XII კ. შთირიშვილის რევისორობით „უღ-ნაშაულად დაუკლინი“ წარმოადგინა ნ. დავითაშვილ-მა (ატრადინისა და კურჩინინი), ტ. პიერტამ (კორენ-

კინისა) და დ. მგალობლიშვილმა (მილოზორიკი) ცოცხლად წარმოადგინეს ნაიხირი როლები. მხატვრული ხატებანი შექმნეს ნ. გოციორიძემ (შმაგა) და ს. რომანიშვილმა-დგებულისა (გალობისა). ა. მეტრეველის-გან (წინ.მოვი) სწორედ არ მოველოდით, თუ ნაიხირ როლს ასე დ სძლევდა. მსახიობი გ. გელევიანი (დუღუ-კინი გონიერად და ზომიერად თამაშობდა გ.ჯაბ ური (მურვი) თავიებურ მიხერა-მოხერას, რომ ასცდენო-და და ტანისამოსიც შეეფერებინა, უყუთესი იქნებოდა. ნ. თომის (ტა ია) როლი არ გავუფუტებია. გრძელი ანტრაქტები მოსაბებრებელია. უსაგანო

**ხარზუნის კლუბში** ქართ. ღრამ. დასმა სამშა-ბათს, 8/XII წარმოადგინა „პირველი ბუხი“. ვ. გუ-ნინას, ვ. აბაშიძის, ტ. აბაშიძის, ელ ჩერქეზიშვილის, ნ. თავითაშვილის დ მგალობლიშვილის; ნ. თომის, ი. თეიმისა, ი. შამფორიას და სხ მონაწ. წარმ ცოცხ-ლად ჩაიარა. წარმოდგენაზე დამსურე დიდ-ძალი საზო-გადოება ემყოფილი დარჩა. „ხარზ. კლუბში“ სტენა ახალი დგურაკებიტ მოუშეშენიერებოთ

**ძარბ. ღრამ დასმა** სახალხო სახლში ოთხშა-ბათს, 9/XII წარმო-დგინა ი. გელევიანიშვილის „მსხვერ-პლი“ ა წუწუნავას რევისორობით და ვ. გუნინას ჰარც არ მერგანა—არ შემერგება“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მრავალ ხალხი დავსწრო. —ნო

**ნაძალადევი. — გობის სახლში** ორშაბათს, 7/XII მოვიმინე ლექცია ძველი ისტორიიდან, რო-მელმაც მათქმინა: „ჩვენი სახ უნივერსიტეტი აყვა-ვეებს თავის ძაღნარს...“

ამ ლექციამ და სხვა მრავალმა მაგალითმა და-მარწმუნეს, რომ ჩვენ, ჩვენს საბედნიეროდ, აღარ გვიხნავს: ხალხში ღრმა სრულია განვითარებისადი და მოწინავეობით გვისმენს...

ლექციის კითხვა ძველი ისტორიიდან დაიწყო ორშაბათს, 30/XI ბ. ა. ლომთათიძემ. (დაესწრო 18 კაცი). მეორე ლექცია (გარტყლება) წარსულ ორშა-ბათს 7/XII წაიკითხა. ამ ლექციაზე ლექტორმა ნა-თქვამიც გა მეორა. ლექცია ორმოკამდე კაცმა მოის-მინა და დიდად ნს ამოფეხიც დარჩა... დიდად სასურ-ველია, ამ გვარი ლექციები სშირად და ყველა ჩვენს უბანში იკითხებოდეს... ამავე ბოტებს სახლში ნ. ვ. ბურჯანაძე ყოველ ოთხშაბათობით კითხულობს ლექ-ციას ბუნების მეც ყველებიდან. ს. ხ-ველი

**დ. ხაშურში** შაბათს, 21/XI, ხაშურის დრ. წრემ წარმოადგინა ა. ტყვარლის ქართუკე-დი დედა: ქ.ნ თ. აფხაზაშვილმა გვარაინად შეასრულა მანინეს რაღა, კარგე ფაშა იქნებოდა ბ-ნი გოგაშვილი, რომ სიტყვები გარკვევით გა-მეოქმეა ქ.ნ ბასტაძემ ღვიდა საუცხოვად შე-ასრულა. ეს ქალი აქაურ სტენაზე პირველად გ-მოდის: ტკიბილი ხმა, ბუნებრივი მიხერა-მიხერა და დახარაკი ხელს უწყობდენ მთელი გრძობე-



ბის გადმორეკამში, რამც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მკურნებებზე. ბ. მ. ალ. კარაქაძე (გახტანგი) გრძობიერი თამაშია აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. რიგანი იყო ბ. ნი ალ. ქუთათელაძეც. თავისი პატა როლი ქ. კ. კადაქმე მოსახრეადად შეასრულა. დანახეუბი ხელს უწყობდენ.

ფასები ძიერი იყო (1 მ. 25 კ. — 25 კ.). მოწყვეთა ბილეთები 25 კ. დირდა ღან, როგორც ამბობენ, კიდევ უნდათ მოემატონა. კუშიაბით ამით მოწყვეთა ან შემათიფანტონ. **კაკალი**

**დ. ლაგოდინი** კვირას, 22/XI ადგილობრივ საჯარბო დარბაზში სოფ. ალექსეევკის ტყენის მოყვარებმა დატყვევებულთა სასარბელოდ რუსულ ენახე წარმოადგინა 4 მოქ. დრამა: „Почтальон Луиза“, ქ. ბ. ბოროზინის, პეტროვკის, ბ. ბ. ბოროზინის, ისტრებოვისა და ბრამის და სხ. მონაწილეობით პიუსამ სუსტად ჩაიარა. ბრამა წაიკითხა „შემულ ღი“; მსუ უგერგოლო იყო. დასასრულ მიღერეს და იცეკვეს ჯარის კაცებმა. ბოლოს დასდგეს ცოცხალი სურათები: „სალამო ელადამი“ და „ედემის კიშკართან“, რომლებიც მომბიხილავი იყო, მაგრამ მხოლოდ უფრო მომზადებულთათვის. საჭიროა წრის გავეკობათ შეადგინოს ნინოზ საფერტო ბუფეტისათვის და ძალით მიჩერების უფლებაც არავის მისცეს. რ — ენტი

## წვრილი ამბები

◆ **ვაშაფშავილას საღამო** „ხარფუხის კლუბში“ განმართება მომავალ შაბ., 19 ქრისტეშობისთვის. ხარფუხის წამასხლისთა საბჭოს განწრახავს დიდის ზეიმით მოაწყოს საღამო. შემოსავლი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად გადიდება.

◆ **ხარფუხის საზ. კლუბში** — ვაჟა-ფშაველას საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ივ. გომართელი, დ. კასრაძე, ნ. დ. ერისთავი, ახალგაზდა მგონები და სხ. სხვათა შორის გურული მომღერალი ნაიან მოწყველნი და იდგმის ცხოველი სურათებიც.

◆ **ოკროცის პანაფილი** კოალიმთათი სსულის მოსახსენებლად გადადლო იქნება ზვალ. კვირას, წმ. ნინოს სასაფლაოზე, დღის 11 ს

◆ **ზოლა ლომითაძის** სხვა და სხვა ზომის სურათები მომზადდა ფოტ. ილ. სტურუამ (ვოვხლის ქ. შინინოვის აფთიაქის პირდაპირ).

◆ შემდეგ ნომერში დაიბეჭდება „კოალიმთათი, როგორც ადამიანი“, დასასათება მისივე ჯერ უბეჭდავ კერძო წერილებით

◆ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის** ქართ. კულტ. მოყვარეთა საზოგადოებას დღემდე მიუღია 519 ლ. 54 კ.

◆ **მიხე ავადმყოფნი** ჩენი მსახიბ-რეჟისორი ვ. შალიკაშვილი და სახალხო მოღვაწე-მოღვაწე ვ. კირვლიძე ამ ეამად ბალახანის ნავთის მრეწველთა საავადმყოფოში წყანან.

◆ **ძაბო დანის** მიერ კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით თონზბათს 16/XII ქრისტეშობისთვის ესიკოვკის ცირკში — წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს ტრილოგიის უკანასკნელი ნაწილი („ჰოილიბოს მეფის დასასრული“ „ანტიგონე“ განსამარტებელ სიტყვას წარმოშობვას გრ. რობაქიძე.

◆ **მ. ზუნია** 20 ქრ. ქუთაისის მიდის სავასტროლოდ.

◆ **წარკობსდგენად მზადდება** ჰეიხეს დრამა „მარიამ მკვდლიწენი“.

◆ **მ. შალიკაშვილის მხასახო** წერილი უკვე ამოწობილი გექონდა, როდესაც გეკონობს, თბილისის დრამ. დასს გადაწვევტეთა ამ მოკლე ხანში მის სასარბებლოდ წარმოდგენა გამართოსო.

◆ **ახალი კლუბის სცენა** მალე დასრულდება. სხვათა შორის მიწვეულია ქართ. დრამ. დასი განსაკუთრებით ორიგინალურ პიესების დასადგმელად, დამზადებულთა შესაფერი დეკორაციები ვ. ს. — ერისთავისა და ნ. ნალევაშვილის მიერ.

◆ **კავკასიის ტრადიციულ საღამოში 25/XII** მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან გაწვეულია ი. გრიშაშვილი.

◆ **ი. გრიშაშვილის „განაცხადი“**, სასიმღეროდ გადაკეთებული, უკვე გაიყიდა და მალე მეორედ გამოიცემა.

◆ **მ. ხიფიანის „სიხმარი“** ცალკე წიგნაკად იბეჭდება

◆ **მ. ი. ჩუბინაშვილი** სახალხო სახლში სადღესასწაულოდ საკუთარ ნაწარმოებთა კონცერტს მართავს.

◆ **მ. ამალგოზაძე დასწირა** ახალი დრამა „ახალგაზდაბი“, დრ. 3 მოქ. 4 სურ სტუდენტების ცხოვრებიდან და „სიყვარულის ზღაპარი“, დრამატ. პიესა, 5 მოქ., პოლოგიითა და ეპილოგიით.

◆ **გორჯომის** საზოგადოლო თეატრი ადგილობრივ საზოგადო საკრებულოდ აიღო იჯარით მომავლის 1916 წ. სეზონისათვის.

◆ **სოფ. ბაქიის გლახთა** თაოსნობით ბეკამში აავსო სათეატრო შენობა და სამკითხველოს მოწყობასაც შეუდგნენ. გლახთა რწმუნებულნი გლახნი გორა ზინაკად და პეტრე ლალაშვილი სთხოვენ გულშემბეკივართ შეწევაბა აღმოუჩინონ წიგნებთ, ჟურნალ-გახეუბთ და სხ. მისმართო: Сурамь (с. Беками) Петру Лалуашвили.

### რუსთა შორის

◆ **„ვაჟის ტყარისნი“** შინაარსიდან ახალთბ მოქმედებიან ბალეტსა სწერის კომპ. მ. მ. იპოლიტოვიანოვ.

# 1916 მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისათვის 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ყურნალი იმპორისტული განყოფილებით და კარიკატურებით

წელიწადი	<b>თ ე ა ტ რ ი ლ ა ც ი ზ ვ რ ე ბ ა</b>	წელიწადი
მეოთხე		წელიწადი

## 1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელობევი და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

### ყურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულების ყურნალში სუბსანსეჟი სურათი დაიბეჭდება

**ფასი:** წლიურად ისევ 5 მ., ნახევ წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილად იქნება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის ვადისადას ამ თვითვე შემოიტანს, ამა ქრისტიანებისთვის ნორმებზე გაეზარდება.

**ხელის მოწერა მიიღება** მსოფლიოს სტამბაში (მალათოვის კუჩქ. № 1, ვორონცოვის პატარ, ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იუსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисы, ред. «Театри да Цховреба»— Юс. Имедашвили. ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილისა

**ხარკუხის საზ. კლუბი** მიხეილის პრ. № 131

**ერთი კვირის პროგ 12—19 ქრისტ-თვე**

**შაბათის** სიმებიანი ორკესტრი პრესმანის კვირა ლოტ ბარობით

**ორშაბ.** სინემატოგრაფი; საზანდარი

**სამშაბ.** ქართ. წარმოლოგენა

**ოთხშაბ.** სინემატოგრაფი

**ხუთშაბ.** მუსიკა ს. მებ. ორკესტრი

**პარასკ.** საზანდარი, სინემატოგრაფი

**შაბათი** ვაე-ფივილის საღამო

**კვირა** მუსიკალური საღამო

**შესაბამი ფასი:** მამაკაცი—30 კ. ქალები დ. სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე

**ანიკოვსკის ცირკ-ამპორადში**

ოთხშაბათს, 16 ქრისტეშობისთვის, 1915 წ.

ქართ. დრამ. საზ-ის დასის ტერა წარმოდგენილი იქნება სოფელის დიდებული გერალდია ანტიური ცხოვრებიდან

# ანტიგონე

წარმოდგენის წინაღ გრ. რომაქიძე წაიკითხავს მოხსენებას ანტიური დრამისა და ანტიგონეს შესახებ. წარმოდგენაზე დასწრეთათვის გამართება სინემატოგრაფიული სურათები ორს განყოფილებად.

**მონაწილეები:** ქანი: აბაშიძე ტ.; დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბენი: აბაშიძე ვ., გულია, გომელაური ზ., თარაღაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშნენელი ვ., მამუროია ი., მგალობლიშვილი დ., კვიციანი ა. დღეილების ფასი 10 კ.—1 მან. დღე.

და აწესილი საღამოს 8 საათზე.

რევისორი ანდრონიკაშვილი დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი შ. მესხიშვილი ადგილების ფასი 15 კ—დან 1 მ. 15 კ—დღე.

შემდეგი წარმოდგენა 21 ქრისტეშობისთვის.

## მეგობარი სოფელდ. საბოლ. სალიტერ. გაზეთია

წლიურ ხელისმომწერლებს მიუკემათ პრემიათა

—გ. შაიაშვილის წყარაღების კრებულა—

ნახევარი წლის ხელის მომწერნი პრემიას მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ გადაიხდიან 1 მან. და 10 შაურს. გაზეთს ყვეს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა-ქალაქსა და რუსეთის სტახაჟო ქალაქებ. კაჭავთის ფასი: პირველი ინტერიდან წლის ბოლომდე გაზეთი ეღირება 9 მან., ნახევარი წლით— 5 მან., სამი თვით—2 მან. 3 აბაზი, თვეში 18 შაური. ცალკე ნუშ. ყოველ. 1 შ.

წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ სამ ნაწილად გაიყონ ფულის შემოტანა: პირველ იანვ.—3 მ. 10 შ. 1 აპრილს—3 მ. 1 ვგვს.—2 მ. 10 შ. ნახევარი წლი. ხელ. მომწერლებს შეუძლ. ორ ნაწ.—1 იან 3 მან პირველ აპრილს 2 მან. მისამართი: Кутайсы, Ред. газ. «Мегობари» Титу Махар. Сихарулидзе.

## ნომრები „ამროკრ“

ახლად შეკეთებული. საუცხოოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძველთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუმი და ანა). თბ., მახ. პრ. № 8. ტელ. 13—14 (წ)